ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანების სკოლამდელი აღზრდისა და განათლების განვითარების

სტრატეგია

2025-30

დამტკიცებულია ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 03/02/2025 წლის ბ31.12825034001 ბრძანებით

სარჩევი

1. შესავალი 3
1.1.კავშირი ეროვნული და ინსტიტუციური პოლიტიკის დოკუმენტებთან 5
2. სიტუაციური ანალიზი 7
2.1. საბავშვო ბაღების მშენებლობის და რეაბილიტაციის პროცესი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში 8
2.2. განხორციელებული პროექტები 9
2.3. სტატისტიკური ინფორმაცია 10
2.4. SWOT ანალიზი 12
3. მისია, ხედვა, ღირებულებები 14
3.1. მისია 14
3.2.ხედვა 14
3.3.ღირებულებები 14
4. სტრატეგია 15
5. სამოქმედო გეგმა (2025) 16

1. შესავალი

ხარისხიანი განათლების მიღება თითოეული ადამიანის ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლებაა და წარმოადგენს პიროვნული და პროფესიული ზრდის, სოციალური კეთილდღეობისა და სახელმწიფოს მდგრადი განვითარების წინაპირობას.[1] ამასთანავე, განათლება ბავშვის ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლებაა და მიზნად ისახავს თანაბარი შესაძლებლობების აღიარებით ბავშვის პოტენციალის სრული მოცულობით განვითარებას.[2]

ბოლო პერიოდში ადრეული ასაკის ბავშვთა განათლების შესწავლის შესახებ საყურადღებო მონაცემებს გვაძლევს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის („საქსტატი“) მიერ „გაეროს ბავშვთა ფონდის“ მხარდაჭერით 2022 წლის ივლისიდან სექტემბრამდე ჩატარებული „ბავშვთა კეთილდღეობის გამოკვლევის“ ანგარიში. 2021-2022 წელს საქართველოში სკოლამდელ დაწესებულებებზე მისაწვდომობამ დაახლოებით 72% შეადგინა. ქალაქში უფრო მეტი ბავშვი დადის ბაღში, ვიდრე სოფელში. ასევე, ბაღის მიღმა დარჩენილი ბავშვების 19% ქალაქში არ დადის ოჯახის არჩევანით, ხოლო სოფელში იგივე მაჩვენებელი უფრო მაღალი 25 % -ია, რაც შესაძლებელია მიუთითებდეს სოფლად ადრეული განათლების მნიშვნელობისა და ცნობიერების დაბალ მაჩვენებლებზე. ტერიტორიული ხელმისაწვდომობის პრობლემაც უფრო მაღალია სოფლად (12%), ვიდრე ქალაქში (1.5%). სკოლამდელი განათლების მიღების ყველაზე დიდი ხელისშემშლელი ფაქტორი ისაა, რომ საცხოვრებლის სიახლოვეს/ სოფელში არ არის საბავშვო ბაღი. აღსანიშნავია, რომ ამ გამოკითხვის მიხედვით ბავშვების 93.6 პროცენტის მშობლები/ოჯახის წევრები ბავშვის საბავშვო ბაღის მომსახურების ხარისხით კმაყოფილი ან ძალიან კმაყოფილი არიან.[3]

2016 წელს, კანონი სკოლამდელი და ადრეული განათლების შესახებ მიიღეს, რაც მრავალი მნიშვნელოვანი ცვლილების წინაპირობა გახდა. აღსანიშნავია, რომ დაიწყო მნიშვნელოვანი რეფორმა, რომელიც სკოლამდელი დაწესებულებების ცენტრალურ დონეზე ავტორიზაციას უკავშირდება. 2022 წელს სახელმწიფომ მიიღო გადაწყვეტილება, ავტორიზაციის პროცესის მართვა დროებით გადმოტანილიყო ცენტრალურ დონეზე და მის განხორციელებაზე პასუხისმგებლობა დაევალა სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.[4]

2023 წელს, საქართველოს მთავრობის დადგენილებით, დამტკიცდა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების განახლებული სტანდარტები. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები (შემდგომში – სტანდარტები) განსაზღვრავენ თუ რა ცოდნას, უნარ-ჩვევებს, ღირებულებებსა და

[1] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგია 2022-2030
[2] კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ, მუხლი 29
[3] ბავშვთა კეთილდღეობა საქართველოში - 2023, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით ჩატარებული „ბავშვთა კეთილდღეობის გამოკვლევა“
[4] ხითარიშვილი, ნ. (2023) ავტორიზაციის სისტემის დანერგვა სკოლამდელ დაწესებულებებში, ჟურნალი ადრეული განათლება, მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

დამოკიდებულებებს უნდა იძენდეს ბავშვი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ფარგლებში, ასევე, განსაზღვრავს ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის მიმწოდებელი დაწესებულების (შემდგომში - დაწესებულება) გარემოსა და საგანმანათლებლო ხარისხის სტანდარტს.[5]

პროგრამის ხარისხის სტანდარტი კი შემდეგ 8 მიმართულებას გამოყოფს:

1. კეთილდღეობა
2. კურიკულუმი და მეთოდოლოგია
3. ფიზიკური გარემო
4. ურთიერთობა
5. საგანმანათლებლო პროცესი
6. ოჯახის და თემის მონაწილეობა
7. ინკლუზიურობა და მრავალფეროვნება
8. მართვა და შეფასება

როგორც ავტორიზაციის პროცესი, ასევე, პროგრამის ხარისხის სტანდარტის დანერგვა დაწესებულებას ავალდებულებს სტრატეგიული გეგმის შემუშავებას. ხარისხის სტანდარტის მერვე მიმართულებაში „მართვა და შეფასება," აღნიშნულია, დაწესებულებას აქვს მისია და ხედვა, რომელიც წარმოაჩენს დაწესებულების თვითმყოფადობას, განსაზღვრავს საქმიანობებსა და მიმართულებებს და შეესაბამება „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მიერ განსაზღვრულ სტანდარტებსა და რეგულაციებს.[6]

ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების პირველი სტანდარტი მთლიანად ეთმობა დაწესებულების მისიასა და სტრატეგიულ განვითარებას.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ კანონის მეოთხე თავის თანახმად დაწესებულება უზრუნველყოფს ინკლუზიურ განათლებასთან, ძალადობისგან ბავშვის დაცვასთან, უსაფრთხოებასთან, სანიტარიასა და ჰიგიენასთან დაკავშირებული სტანდარტების შესაბამისად დაწესებულების სტრატეგიის შემუშავებას.[7]

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანების მიერ შემუშავებულ სტრატეგიას, რომელშიც ასახულია ხედვა სკოლამდელი განათლების განვითარების შესახებ მუნიციპალიტეტში, პრიორიტეტული მიმართულებები და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად დასახული მიზნები და ამოცანები.

---

[5] „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის №488 დადგენილება

[6] პროგრამის ხარისხის სტანდარტი, სტანდარტი 8.1.

[7] ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ კანონი

1.1. კავშირი ეროვნული და ინსტიტუციური პოლიტიკის დოკუმენტებთან

ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანების სკოლამდელი განათლების სტრატეგია თანხვედრაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიან ეროვნულ სტრატეგია 2022-2030 -თან და მასში წარმოდგენილ პრიორიტეტულ მიმართულებებთან და სტრატეგიულ მიზნებთან და ამოცანებთან.

მიზნები და ამოცანები საქართველოს განათლების და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგიიდან ადრეულ და სკოლამდელ განათლებასთან დაკავშირებით

მიზანი 1.1: ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ყველა დაწესებულების მიერ მაღალი ხარისხის, მხარდაჭერასა და განვითარებაზე ორიენტირებული სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველყოფა

ამოცანა 1.1.1: ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების თითოეულ დაწესებულებაში აღმზრდელ-პედაგოგების კვალიფიკაციის ამაღლება და უწყვეტი პროფესიული განვითარების უზრუნველყოფა

ამოცანა 1.1.2: ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში სასწავლო გარემოსა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესება

ამოცანა 1.1.3: ბავშვის მშობლების/წარმომადგენლების და თემის ჩართულობის ხელშეწყობა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების საქმიანობაში

მიზანი 2.1: ადრეულ განათლებასა და სასკოლო მზაობის პროგრამებში არახელსაყრელ პირობებში მყოფი ბავშვების მონაწილეობის ხელშეწყობა

ამოცანა 2.1.1: ადრეული და სკოლამდელი განათლების დაწესებულებებში ინკლუზიური, უსაფრთხო და ბავშვის ჰოლისტურ განვითარებაზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა

ამოცანა 2.1.2: ადრეული და სკოლამდელი განათლების მიზნობრივი მხარდამჭერი სერვისების განვითარება არახელსაყრელ პირობებში მყოფი და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებისთვის

მიზანი 3.1: ადრეული და სკოლამდელი განათლების სისტემის ეფექტიანობისა და მდგრადობის გაძლიერება

ამოცანა 3.1.1: განახლებული ადრეული და სკოლამდელი განათლებისა და განვითარების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

წინამდებარე სტრატეგია ასევე შესაბამისობაშია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტთან (2024-2027), რომლის 6 მიზნიდან, ერთ-ერთი „ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და განახლება“ მოიცავს ბაღების რეაბილიტაციასა და მშენებლობას.

სტრატეგიის საკანონმდებლო ჩარჩო მოიცავს შემდეგს:

1. საქართველოს კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“
2. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები
3. ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები

ამავდროულად, წინამდებარე სტრატეგია ეყრდნობა და შესაბამისობაშია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მიერ შემუშავებულ შემდეგ ნორმატიულ აქტებთან:

ა) ხელვაჩაურის საკრებულოს 2017 წლის 27 ოქტომბრის N26 დადგენილება ,,სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის მიწოდების მონიტორინგის, შეფასების და ანგარიშგების სისტემა”;

ბ) ხელვაჩაურის საკრებულოს 2017 წლის 27 ოქტომბრის N27 დადგენილება ,,სკოლამდელი განათლების და სასკოლო მზაობის პროგრამის მომსახურების და დაწესებულების შიდა მონიტორინგისა და შეფასების სისტემა”;

გ) ხელვაჩაურის საკრებულოს 2017 წლის 27 ოქტომბრის N28 დადგენილება ,,ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის სამსახურებრივი ინსტრუქციები, ქცევისა და ეთიკის ნორმები”;

დ) ხელვაჩაურის საკრებულოს 2017 წლის 27 ოქტომბრის N29 დადგენილება ,,ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტები”;

ე) ხელვაჩაურის საკრებულოს 2017 წლის 27 ოქტომბრის N30 ,,ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი საჯარო დაწესებულების დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნები”;

2. სიტუაციური ანალიზი

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში შემავალი მუნიციპალიტეტებიდან ერთ-ერთი მასშტაბური და ქალაქთან ყველაზე ახლოს მყოფი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტია, რომლის ფართობი შეადგენს - 36 711 ჰა, ხოლო მუნიციპალიტეტში მცხოვრები ოჯახების რაოდენობა შეადგენს - 16 551. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის შემადგენლობაშია 11 ადმინისტრაციული ერთეული (მახინჯაურის, ორთაბათუმის, ახალშენის, ფერიის, შარაბიძეების, თხილნარის, ჭარნალის, სარფის, მაჭახლის, კირნათის და აჭარისწყლის) და მათში შემავალი 64 სოფელი.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში 2010 წელს დაარსდა ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანება. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში 1972 წლიდან ფუნქციონირებს საბავშვო ბაღები[8].

- 1972 წელი -სალიბაური, მახინჯაური, ხელვაჩაური და შარაბიძეების საბავშვო ბაღები
- 2009 წლი - თხილნარი, ერგე, განთიადი
- 2012 წელი - ხელვაჩაურის N1
- 2013 წელი - ახალშენები, ჭარნალი, ორთაბათუმი
- 2015 წელი - ჩიქუნეთი
- 2016 წელი - ახალსოფელი, აჭარისწყალი, მახო
- 2017 წელი - ქედქედი, კირნათი
- 2018 წელი - ფერია, მახინჯაური, ხელვაჩაურის N2
- 2022 წელი - ახალშენის საბავშვო ბაღი

მათგან 2011 წელს შარაბიძეების, ხელვაჩაურის და მახინჯაურის საბავშვო ბაღები გადავიდა ქალაქ ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანების დაქვემდებარებაში.

2025 წლის იანვრის მონაცემებით ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 18 საბავშვო ბაღი, მათგან ერგეს ბაღის შენობის მშენებლობა მიმდინარეობს, რის გამოც ბაღის პერსონალი და აღსაზრდელები გადანაწილებული არიან ხელვაჩაურის N1 და ხელვაჩაურის N2 ბაღებში. აღსაზრდელთა რაოდენობა 1616.
2018 წელს მუნიციპალიტეტს ჰქონდა 15, ხოლო 2019-2022 წლებში 18 საბავშვო ბაღი.

ბოლო წლებში, სკოლამდელი აღზრდის და განათლების დაწესებულებებში ჩართული აღსაზრდელების რაოდენობა 1000 მოსახლეზე გაიზარდა 5 პუნქტით - 29.1-დან 34.7-მდე.

[8] ააიპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანების ქვეშ არსებულ ბაღებს ჰქვიათ სტრუქტურული ქვედანაყოფები, თუმცა დოკუმენტში სინონიმად გამოყენებული იქნება საბავშო ბაღი ან საბავშვო ბაღები

შედარებისთვის, მთელი ქვეყნის მასშტაბით ეს მაჩვენებელი 40, აჭარაში 39.7, ქ. ბათუმში 46.9-ს შეადგენს, ხოლო ხულოს მუნიციპალიტეტში ეს მაჩვენებელი 21.6-ია.[9]

სპეციალურად არის გამოყოფილი ტრანსპორტი საბავშვო ბაღში სიარულის მიზნობრიობით და მიზნობრივი მოსახლეობის 46.94% სარგებლობს აღნიშნული ტრანსპორტით, ხოლო, მიზნობრივი სკოლამდელ დაწესებულებებში ჩართული ბავშვების რაოდენობა 1000 მოსახლეზე მოსახლეობის 61.22%-ს საკუთარი ტრანსპორტით დაჰყავს ბავშვი საბავშვო ბაღში. საბავშვო ბაღების 79.41% გარემონტებულია, რომელთაგანაც 38.71% დამაკმაყოფილებლად, ხოლო 35.48% კარგად არის აღჭურვილი.[10]

2.1. საბავშვო ბაღების მშენებლობის და რეაბილიტაციის პროცესი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში

საბავშვო ბაღების მშენებლობას ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ამა თუ იმ სოფელში საფუძვლად უდევს სტატისტიკური კვლევები. სწორედ სტატიკურმა კვლევებმა ცხადყო, რომ სოფელ ახალსოფელში ერთი ბაღი არ არის საკმარისი. მუნიციპალიტეტმა გამოყო თანხები და ახალსოფელში აშენდა ახალსოფლის N2 საბავშვო ბაღი, რომლის ბიუჯეტიც შეადგენს 5 178 548 ლარს.

2023 წელს დასრულდა ხელვაჩაურის N1 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია. შენობა აღიჭურვა: სახანძრო უსაფრთხოების ვიდეო სამეთვალყურეო სისტემებით, სამზარეულო - დამხმარე სათავსოთი, სასადილო, სველი წერტილებით, საძილე და სამყოფი ოთახებით, მომსახურე პერსონალის ოთახით, ეკოლოგიურად სუფთა მასალისგან დამზადებული ატრაქციონები, სათამაშო მოედნები, სპორტული დარბაზი და მუსიკის კაბინეტით.

ასევე, 2023 წელს განხორციელდა ახალსოფლის N1 საბავშვო ბაღის ეზოსა და შენობის რეაბილიტაცია. შენობა აღჭურვილია: სახანძრო უსაფრთხოების ვიდეო სამეთვალყურეო სისტემებით, სამზარეულო - დამხმარე სათავსოთი, სასადილო, სველი წერტილებით, საძილე და სამყოფი ოთახებით, მომსახურე პერსონალის ოთახით, ეკოლოგიურად სუფთა მასალისგან დამზადებული ატრაქციონები, სათამაშო მოედნები, სპორტული დარბაზი, და მუსიკის კაბინეტი. მშენებლობის საერთო ღირებულება 738.200 ლარს შეადგენს, შენობა 180 აღსაზრდელზეა გათვლილი.

[9] ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითრების დოკუმენტი (2024-2027)
[10] 2023 წლის მარტის თვის მოსახლეობის კვლევა

2025 წლის იანვრის მონაცემებით მიმდინარეობს 2 ბაღის მშენებლობის პროცესი: ერგეს და განთიადის საბავშვო ბაღები. ერგეს ბაღი სკოლის შენობაში იყო განთავსებული და შენდება დამოუკიდებელი შენობა.
მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ ხორციელდება ხელვაჩაურის სტრუქტურული ქვედანაყოფების: მახინჯაურის, ფერიის, ორთაბათუმის და ქედქედის ინფრასტრუქტურის სრული რეაბილიტაცია.

2.2. განხორციელებული პროექტები

2021 წელს ა(ა)იპ ხელვაჩაურის გაერთიანების სტრუქტურულ ქვედანაყოფებში განხორციელდა HACCP საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების სისტემა (Hazard Analyss and Critical Control Points System).

2022-2023 წელს ხელვაჩაურის გაერთიანება და მისი სტრუქტურული ქვედანაყოფები (საბავშვო ბაღები) ჩართულნი იყვნენ პროექტში „ადრეული და სკოლამდელი განათლების სახელმწიფო სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობა პრაქტიკოსების პროფესიული განვითარების გზით“. პროექტის ფარგლებში აღმზრდელებმა გაიარეს გადამზადება და ქოუჩინგი.

2022 წლიდან ხელვაჩაურის გაერთიანებაში სკოლამდელ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდისა და ოჯახების მხარდაჭერის მიზნით მოქმედებს „ხელვაჩაურის საბავშვო ბაღებში სოციალური ჯგუფების ბენეფიციართა ოჯახების აღსაზრდელთა ტრანსპორტირების ღირებულების სუბსიდირების პროგრამა“. პროგრამა უზრუნველყოფს აღსაზრდელების ტრანსპორტირებას, ხოლო იმ შემთხვევაში თუკი მათ არ აქვთ ბაღის ახლომდებარეობის გამო ამის საჭიროება, თანხა მიზნობრივად მიეწოდება ოჯახს.

2023- 2024 წელს გაერთიანებასა და მის სტრუქტურულ ქვედანაყოფებში განხორციელდა კურიკულუმის დანერგვა, გაერთიანებამ შემქნა სამიზნე ჯგუფი, რომელშიც 6 ბაღი მონაწილეობდა (ერგე, სალიბაური, ჭარნალი, ახალშენი, ორთაბათუმი, ახალსოფელი). ბაღებში მიმდინარეობდა ადრეული განათლების კურიკულუმ თამაშის დანერგვა, თეორიული სწავლება და პრაქტიკული სუპერვიზია. წარმატებული გამოცდილების გაზიარებით მონაწილეებმა (ია ცისკარაძე, შორენა ხიმშიაშვილი, რუსუდან ცინცაძე, ნინო თურმანიძე) წარადგინეს მოხსენებები 2024 წლის თებერვალში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში.

2024 წელს ხელვაჩაურის სკოლამდელი დაწესებულებების 4 აღმზრდელმა და გაერთიანების წარმომადგენელმა გაიარა მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ტრენერთა ტრენინგი „პოზიტიური მშობლობის“ პროგრამის განხორციელების შესახებ. ამის შემდგომ, გაერთიანების ბაზაზე დაიწყო პროგრამის განხორციელება.

2024 წლის თებერვალში საბავშვო ბაღების გაერთიანების ინკლუზიური განათლების პერსონალმა (45 ადამიანი) მონაწილეობა მიიღო ფორუმში ,,ინკლუზიური განათლება მიღწევები და გამოწვევები“, რომელიც ხელვაჩაურის მერიის განათლების სამსახურის მიერ იქნა ორგანიზებული. ფორუმზე მათ მიიღეს მნიშვნელოვანი ინფორმაცია შშმ პირის პროგრამებში ჩართულობაზე, რომელ ინფორმაციასაც მშობლებთან ერთად განახორციელებენ.

2024 წლის დეკემბერში საბავშვო ბაღების გაერთიანების პერსონალი (105 ადამიანი) გადამზადებული იქნა თემაზე ,,ადამიანის უფლებები“, ტრენინგი ხელვაჩაურის მერიის განათლების სამსახურის მიერ იქნა ორგანიზებული. ტრენინგზე პრაქტიკულ მაგალითების გარდა მათ მიიღეს ინფორმაცია დასაქმებულისა და დამსაქმებლის უფლებებზე, ბავშვის უფლებებზე და სხვა.

2.3. სტატისტიკური ინფორმაცია

ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანებას 2025 წლის იანვრის პერიოდით ექვემდებარება 18 სტრუქტურული ქვედანაყოფი. 2025 წლამდე ერგის საბავშვო ბაღი ფუნქციონირებდა ერგის საჯარო სკოლის შენობაში, რომელიც სარემონტო სამუშაოების გამო დაიხურა. ბაღის ბავშვები ჩაირიცხნენ ხელვაჩაურის #1 და ხელვაჩაურის #2 საბავშვო ბაღებში. ამ ეტაპისთვის დაწყებულია ერგის საბავშვო ბაღის მშენებლობაც.

ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანებაში დასაქმებულია შტატით 520, ხოლო შტატგარეშე 22 თანამშრომელი. მათ შორის 15 ადმინისტრაციაში. ადმინისტრაციის თანამშრომელთა თანამდებობა:

1. დირექტორი;
2. დირექტორის მოადგილე - 2;
3. სპეციალისტი საღმზრდელო - მეთოდოლოგიურ საკითხებში ;
4. სპეციალისტი საბუღალტრო საკითხებში, ბუღალტერი;
5. სპეციალისტი შესყიდვების საკითხებში;
6. სპეციალისტი ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში;
7. სპეციალისტი კვებისა და სანიტარულ-ჰიგიენურ საკითხებში;
8. სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში იურისტი;
9. სპეციალისტი მონიტორინგის საკითხებში;
10. სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში;
11. სპეციალისტი შრომის უსაფრთხოების საკითხებში;
12. სპეციალისტი საქმისწარმოების საკითხებში;
13. დამხმარე ბუღალტერი-შრომითი ხელშეკრულებით აყვანილი შტატგარეშე თანამშრომელი;
14. დამლაგებელი-შრომითი ხელშეკრულებით აყვანილი შტატგარეშე თანამშრომელი.

ცხრილი N1. ააიპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების სტრუქტურული ქვედანაყოფის ბავშვებისა და საგანმანათლებლო პერსონალის სტატისტიკური ინფორმაცია

N	სტრუქტურული ქვედანაყოფი	ბავშვების რაოდენობა	სსმ ბავშვები	აღმზრდელ-პედაგოგი	აღმზრდელი	აღმზრდელის თანაშემწე	მეთოდისტი	ხელმძღვანელი	ფსიქოლოგი	სპეც. მასწავლებელი	ლოგოპედი
1.	ხელვაჩაურის #1 საბავშვო ბაღი	241	5	10	2	6	1	1	1	1	1
2.	ხელვაჩაურის #2 საბავშვო ბაღი	146	2	6	0	3	1	1	1	1	1
3.	ახალშენის საბავშვო ბაღი	253	8	11	3	7	1	1	1	1	1
4.	ქედქედის საბავშვო ბაღი	29	0	1	3	2	1	1	1	1	1
5.	კირნათის საბავშვო ბაღი	58	0	0	6	3	1	1	1	1	1
6.	აჭარისწყლის საბავშვო ბაღი	74	0	6	0	3	1	1	1	1	1
7.	თხილნარის საბავშვო ბაღი	96	0	0	6	3	1	1	1	1	1
8.	ჭარნალის საბავშვო ბაღი	166	7	0	10	5	1	1	1	1	1
9.	ახალსოფლის #1 საბავშვო ბაღი	107	11	12	0	6	1	1	1	1	1
10	ახალსოფლის #2 საბავშვო ბაღი	150	0	0	12	6	1	1	1	1	1
11	ორთაბათუმის საბავშვო ბაღი	41	0	10	2	5	1	1	1	1	1
12	მახინჯაურის საბავშვო ბაღი	19	1	8	0	4	1	1	1	1	1

13	ფერიის საბავშვო ბაღი	18	0	8	0	4	1	1	1	1	1
14	სალიბაურის საბავშვო ბაღი	70	1	3	1	2	1	1	1	1	1
15	განთიადის საბავშვო ბაღი	55	0	4	0	2	1	1	1	1	1
16	ჩიქუნეთის საბავშვო ბაღი	16	0	0	2	1	1	1	1	1	1
17	მახოს საბავშვო ბაღი	77	0	0	6	3	1	1	1	1	1
ჯამი		1616	35	79	53	65	17	17	17	17	17

2.4. SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
• მუნიციპალიტეტში შექმნილია აღმზრდელ-პედაგოგის პოზიცია (79) • ბაღებში იწერება 1 კვირიანი გეგმები რეგულარულად და სისტემატურად • ყველა ბავშვის შეფასება ხორციელდება • ბავშვის განვითარებაზე, ინტერესების გამოვლენაზე, საჭიროებების იდენტიფიცირებაზე დაკვირვება მიმდინარეობს რეგულარულად და სისტემატურად • ბაღებში მრავლადაა წარმოდგენილი ბუნებრივი და მეორადი რესურსი • ბაღებში მოწყობილია შიდა სივრცეები, ჯგუფები ცენტრებად • ყველა ბაღში დანერგილია ჰასპი. • ყველა ბაღში გამართულად ფუნქციონირებს კვების პროდუქტების ნორმატივების დაცვა;	• სსმ ბავშვების ჩართულობა პროცესში • აღმზრდელები კვალიფიკაციის ნაკლებობა ინკლუზიაში და სსსმ ბავშვებთან • ინკლუზიის მხარდამჭერი სპეციალისტების (ფსიქოლოგი, სპეციალური განათლების პედაგოგი, ლოგოპედი) კომპეტენციების ნაკლებობა • კონკრეტული და სპეციფიურ საჭიროებებზე ორიენტირებული რესურსის ნაკლებობა (ტაქტილური ბილიკი, ჯგუფში მოტორული აქტივობის მოწყობილობა) • ყველა ბაღში ეზოები არ არის ფუნქციურ სივრცეებად დაყოფილი; • ყველა ბაღი არ არის ადაპტირებული • ყველა ბაღის ინფრასტრუქტურა არ არის გამართული

• ბავშვების რეგისტრაციის, ჩარიცხვა-ამორიცხვისთვის არსებობს ელექტრონული სისტემა. • ყველა ბაღი აღჭურვილია კომპიუტერითა და პრინტერით • ყველა ბაღში მოწყობილია სივრცე პერსონალის ერთობლივი მუშაობისთვის. • ბავშვები უზრუნველყოფილნი არიან სეზონური, ჩანაცვლებადი, მრავალფეროვანი და გაჯერებული კვებითი ღირებულებისა და კალორაჟის მენიუთი. • მშობლები აქტიურად იღებენ ინფორმაციას სხვადასხვა ონლაინ-პლატფორმების მეშვეობით	• აღმზრდელებისა და ბავშვების თანაფარდობა ყველა ჯგუფში არ არის დაცული და სტანდარტთან შესაბამისი • მშობლების ჩართულობა საგანმანათლებლო პროცესში დაბალია • თემის ჩართულობის მაჩვენებელი დაბალია
შესაძლებლობები	**საფრთხეები**
• ადგილობრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა; • ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტთან პარტნიორობა; • სხვადასხვა პროექტებში მონაწილეობა; • მუნიციპალიტეტის მხარდაჭერა; • სფეროს ექსპერტების კონსულტაციები; • დარგში შემუშავებული უახლესი ლიტერატურა, რესურსები • სკოლებთან და სხვადასხვა დაწესებულებებთან პარტნიორობა • მუნიციპალური განვითარების ფონდი	• მაღალკვალიფიციური კადრების გადინება • შობადობის მაჩვენებლის შემცირება და ბაღებში ჩარიცხული ბავშვების რაოდენობის კლება • მაღალმთიან ლოკაციაზე მდებარე ბაღების რთული კლიმატური პირობები • სოფლებიდან მოსახლეობის გადინება

3. მისია, ხედვა, ღირებულებები

ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანების სკოლამდელი აღზრდისა და განათლების განვითარების სტრატეგია 2025-2030 ეყრდნობა წინამდებარედ შემუშავებულ მისიას, ხედვასა და ღირებულებებს. დაწესებულების ხედვაში გამოკვეთილია მუნიციპალიტეტში არსებული პრიორიტეტული მიმართულებები სკოლამდელი განათლების სფეროში, ესენია ინკლუზიური განათლების ხარისხის გაუმჯობესება (ნებისმიერი საჭიროების მქონე ბავშვისთვის ხელმისაწვდომობა), ბაღების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება (მრავალფეროვანი რესურსით აღჭურვა) და პერსონალის პროფესიული განვითარება (კვალიფიციური კადრები).

3.1. მისია

ჩვენი მისიაა თითოეული ბავშვის ჰოლისტურ განვითარებაზე ზრუნვა, რომელიც გულისხმობს უსაფრთხო და კეთილდღეობაზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, ასევე მის დამოუკიდებელ და შემოქმედებით პიროვნებად ჩამოყალიბებას, მშობლებთან და თემთან ჰარმონიული ურთიერთობით ბავშვის სასკოლო მზაობის ხელშეწყობას.

3.2. ხედვა

მომავალ 10 წელიწადში, საბავშვო ბაღებში შეიქმნება ინკლუზიური და ნებისმიერი საჭიროების მქონე ბავშვისთვის ხელმისაწვდომი გარემო, აღიჭურვება მრავალფეროვანი რესურსით და დასაქმებული პერსონალი იქნება კვალიფიციური.

3.3. ღირებულებები

1. პოზიტიური და ინკლუზიური გარემოს შექმნა;
2. გუნდური თანამშრომლობა;
3. დაინტერესებული მხარეების ჩართულობა;
4. პროცესის უწყვეტობა და განვითარება;

4. სტრატეგია

ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანების სკოლამდელი აღზრდისა და განათლების განვითარების სტრატეგია 5 წლიანია და მისი პრიორიტეტული მიმართულებებია: ინკლუზიური განათლება, ბაღების ინფრასტრუქტურა და რესურსი, პერსონალის კვალიფიკაცია, საგანმანათლებლო პროცესი.

სტრატეგიაში წარმოდგენილია **4 სტრატეგიული მიზანი და 12 ამოცანა.** სტრატეგიის განხორციელება ხდება 1 წლიანი სამოქმედო გეგმით.

სტრატეგიული მიზნები	ამოცანები:
N1. სკოლამდელი ინკლუზიური განათლების ხარისხის გაუმჯობესება	1.1. თანმიმდევრული და კოორდინირებული მიდგომის გაძლიერება სხვადასხვა საჭიროებების მქონე ბავშვებთან 1.2. ინკლუზიური განათლების შესახებ ცნობიერების ამაღლება და ადვოკატირება 1.3. საჭიროებების ადრეული იდენტიფიცირების მექანიზმის ეფექტიანად უზრუნველყოფა
N2. საბავშვო ბაღების ფიზიკური გარემოსა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება	2.1. ბაღების აშენება და კეთილმოწყობა 2.2. ბაღების ეზოების მოწყობა შერჩეული კურიკულუმის შესაბამისად 2.3. ბაღების შიდა სივრცეების მოწყობა შერჩეული კურიკულუმის შესაბამისად
N3. პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა	3.1. პერსონალის გადამზადება 3.2. პერსონალის საგანმანათლებლო, მეთოდოლოგიური და დამხმარე რესურსებით აღჭურვა 3.3. პერსონალის მიერ პრაქტიკის გაზიარების მექანიზმის დანერგვა
N4. საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროცესის ხარისხის გაუმჯობესება	4.1. ბავშვზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების უზრუნველყოფა 4.2. მშობელთა და თემის ჩართულობის ხელშეწყობა 4.3. პროცესის შიდა და გარე მონიტორინგის მექანიზმების ეფექტური დანერგვა

5. სამოქმედო გეგმა (2025)

ამოცანა	აქტივობა	ინდიკატორი	განხორციელების ვადა იანვარი-დეკემბერი 2025												განმხორციელებელი	პასუხისმგ. ერთეული/ პირი	ადამიანური რესურსი	დაფინანსების წყარო	მატერიალური რესურსი
			ი	თ	მ	ა	მ	ი	ი	ა	ს	ო	ნ	დ					
სტრატეგიული მიზანი 1. სკოლამდელი ინკლუზიური განათლების ხარისხის გაუმჯობესება																			
1.1. თანმიმდევრული და კოორდინირებული მიდგომის გაძლიერება სხვადასხვა საჭიროებების მქონე ბავშვებთან	1.1.1.სსმ ბავშვების ირგვლივ მულტიდისციპლინური ჯგუფის შეხვედრები	1.1.1.ა. ბაღში ჩარიცხულ ყველა სსმ ბავშვზე ჩამოყალიბებულია მულტიდისციპლინური ჯგუფი 1.1.1.ბ. თითოეულ სსმ ბავშვზე ჯგუფი შეკრებილია წელიწადში მინიმუმ 3 ჯერ													ხელვაჩაურის N1, ხელვაჩაურის N2, ახალშენის, ჭარნალის, ახალსოფლის N1, მახინჯაურის, სალიბაურის ბაღები	ბაღის მეთოდისტი	სპეციალური პედაგოგი, ფსიქოლოგი, აღმზრდელი, მშობელი	არ არის საჭირო	სივრცე შეხვედრებისთვის, კომპიუტერი
	1.1.2.სსმ ბავშვისთვის განვითარების ინდივიდუალური გეგმების შემუშავება	1.1.2.ა. ბაღში ჩარიცხულ ყველა სსმ ბავშვზე შედგენილია გეგმა													ხელვაჩაურის N1, ხელვაჩაურის N2, ახალშენის, ჭარნალის, ახალსოფლის N1, მახინჯაურის, სალიბაურის ბაღები	სპეციალური პედაგოგი და ფსიქოლოგი	სპეციალური პედაგოგი და ფსიქოლოგი, აღმზრდელი, მშობელი	არ არის საჭირო	განვითარების ინდ.გეგმის ფორმა, კომპიუტერი

	1.1.3. გარე სერვისთან (განვითარების, ინტერვენციის, რეაბილიტაციის ცენტრი) ურთიერთთანამშრომლობა	1.1.3.ა. განხორციელებულია გარე სერვისის სპეციალისტთან კომუნიკაცია ყველა სსსმ ბავშვზე წელიწადში მინიმუმ ერთხელ												ხელვაჩაურის N1, ხელვაჩაურის N2, ახალშენის, ჭარნალის, ახალსოფლის N1, მახინჯაურის, სალიბაურის ბაღები	სპეციალური პედაგოგი და ფსიქოლოგი	სპეციალური პედაგოგი და ფსიქოლოგი, აღმზრდელი,	არ არის საჭირო	სივრცე შეხვედრებისთვის
	1.1.4. სსმ ბავშვთან მუშაობის პრაქტიკის შიდა სუპერვიზია	1.1.4.ა. განხორციელებულია ყველა სსმ ბავშვზე წელიწადში ორჯერ პროცესზე დაკვირვება და აღმზრდელისთვის შემუშავებულია რეკომენდაციები												ხელვაჩაურის N1, ხელვაჩაურის N2, ახალშენის, ჭარნალის, ახალსოფლის N1, მახინჯაურის, სალიბაურის ბაღები	სპეციალური პედაგოგი, ფსიქოლოგი	ფსიქოლოგი, სპეციალური პედაგოგი, ლოგოპედი, საგანმანათლებლო პერსონალი	არ არის საჭირო	პრაქტიკაზე დაკვირვების ფორმა
1.2. ინკლუზიური განათლების შესახებ ცნობიერების ამაღლება და ადვოკატირება	1.2.1. პოსტერებისა და საინფორმაციო ტექსტების გავრცელება სოციალური ქსელის გამოყენებით ადრეულ ინკლუზიაზე	1.2.1.ა. ყოველთვიურად გაერთიანებისა და ბაღების მედია პლატფორმებით გაზიარებულია მინიმუმ 1 პოსტი												გაერთიანება	გაერთიანების მეთოდისტი	გაერთიანების მეთოდისტი, გაერთიანების საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი	არ არის საჭირო	წიგნები ინკლუზიური განათლების შესახებ

	1.2.2. შეხვედრების ჩატარება მშობლებთან და თემის წარმომადგენლებთან ადრეულ ინკლუზიაზე	1.2.2.ა. ჩატარებულია სემესტრში 1 შეხვედრა, რომელსაც ესწრება ბაღიდან მინიმუმ 20 მშობელი													ხელვაჩაურის N1, ხელვაჩაურის N2, ახალშენის, ჭარნალის, ახალსოფლის N1, მახინჯაურის, სალიბაურის ბაღები	ბაღის ხელმძღვანელი	ფსიქოლოგი, ლოგოპედი, სპეც.მასწავლებელი , მეთოდისტი	არ არის საჭირო	შეხვედრების სივრცე, ტექნიკური აღჭურვილობა
1.3. საჭიროებების ადრეული იდენტიფიცირების მექანიზმის ეფექტიანად უზრუნველყოფა	1.3.1.ბავშვების შეფასება წელიწადში ორჯერ სკრინინგ ინსტრუმენტის გამოყენებით	1.3.1.ა. ყველა ბავშვზე შევსებულია ASQ კითხვარი													ყველა ბაღი	ბაღის მეთოდისტი	აღმზრდელი, მშობელი, ინკლუზიის მხარდამჭერი პერსონალი	არ არის საჭირო	დაბეჭდილი კითხვარები
	1.3.2.სკრინინგის შედეგად გამოვლენილი პოტენციური საჭიროებების სტატისტიკის წარმოება და შემთხვევების აღწერა	1.3.2.ა. თითოეულ ბაღში შეგროვებულია ინფორმაცია განვითარების რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების შესახებ 1.3.2.ბ.გერთიანების დონეზე შექმნილია საერთო ბაზა													ყველა ბაღი გაერთიანება	ბაღის მეთოდისტი და გაერთიანების მეთოდისტი	აღმზრდელი, მშობელი, ინკლუზიის მხარდამჭერი პერსონალი	არ არის საჭირო	კომპიუტერი
	1.3.3. გამოვლენილი საჭიროებების შემთხვევებზე ბავშვის მშობლის/ ოჯახის წევრის	1.3.3.ა. ჩატარებულია მშობელთან მინიმუმ ერთი შეხვედრა გამოვლენილ													ყველა ბაღი	ბაღის მეთოდისტი	აღმზრდელი, მშობელი, ინკლუზიის მხარდამჭერი პერსონალი	არ არის საჭირო	სივრცე შეხვედრისთვის

	კონსულტირება ბავშვის სიღრმისეულ შეფასებაზე	გადასამისამართებელ																	
სტრატეგიული მიზანი N2. საბავშვო ბაღების ფიზიკური გარემოსა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება																			
2.1. ბაღების აშენება და კეთილმოწყობა	2.1.1. მახინჯაურის, ორთაბათუმის, ფერიის, ქედქედის ბაღების ავეჯით აღჭურვა	2.1.1.ა ყველა ჯგუფი აღჭურვილია შესაბამისი რაოდენობის ავეჯითა და მასალით													გაერთიანება	გაერთიანების დირექტორის მოადგილე	გაერთიანების დირექტორის მოადგილე, შესყიდვების სპეციალისტი	გაერთიანების ბიუჯეტი	რეგლამენტი N485
	2.1.2. ბაღებში სახანძრო უსაფრთხოების ნორმების დაცვის უზრუნველყოფა	2.1.2.ა.ბაღებში დამონტაჟებულია სახანძრო უსაფრთხოების მოწყობილობები, რაც აკმაყოფილებს „ტექნიკური რეგლამენტის შენობა ნაგებობის უსაფრთხოების წესის, დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N 41 დადგენილებას“													ახალშენის, ახალსოფლის N1, ხელვაჩაურის N1, ხელვაჩაურის N2 ბაღები	გაერთიანების შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი	შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, ბაღის ხელმძღვანელი	გაერთიანების ბიუჯეტი	სახანძრო უსაფრთხოების მოწყობილობები
	2.1.3 ბაღების მდგრადობის	2.1.3.ა.შემოწმებულია ბაღების შენობის უსაფრთხოება													ახალშენის, ახალსოფლის N1,	გაერთიანების შრომის	შრომის უსაფრთხოების	გაერთიანების ბიუჯეტი	სახანძრო უსაფრ

	უზრუნველყოფა	„ტექნიკური რეგლამენტის შენობა ნაგებობის უსაფრთხოების წესის, დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N 41 დადგენილებას“ შესაბამისად													ხელვაჩაურის N1, ხელვაჩაურის N2 ბაღები	უსაფრთხოების სპეციალისტი	სპეციალისტი, ბაღის ხელმძღვანელი		თხოების მოწყობილობები
2.2. ბაღების ეზოების მოწყობა შერჩეული კურიკულუმის შესაბამისად	2.2.1. ბაღის ეზოებში მოტორული სივრცეების ანდა ატრაქციონების მოწყობა	2.2.1.ა.მინიმუმ ერთ ბაღში მოწყობილია ეზოს მოტორული სივრცე/ ატრაქციონი													სალიბაურის საბავშვო ბაღი	გაერთიანების დირექტორის მოადგილე	გაერთიანების მეთოდისტი	გაერთიანების ბიუჯეტი	ეზოს ატრაქციო-ნების კატალოგები
	2.2.2.ეზოს მოწყობა ფუნქციურ სივრცეებად	2.2.2.ა. ბაღების ეზოში მოწყობილია მინიმუმ 5 ფუნქციური სივრცე													ყველა ბაღი	გაერთიანების მეთოდისტი, ბაღის ხელმძღვანელი	საბავშვო ბაღის პერსონალი, მშობლები	გაერთიანების ბიუჯეტი საჭიროების შემთხვევაში	სახელმძღვ-ანელო - ეზოს მოწყობა საბავშვო ბაღში
	2.2.3. ბაღის ეზოებში საჩრდილობელი სივრცე მოწყობა	2.2.3. ბაღის ეზოში მოწყობილია მინიმუმ ერთი საჩრდილობელი													ახალშენის, ხელვაჩაურის N1, ხელვაჩაურის N2, ახალსოფლისა და აჭარისწყლის ბაღები	გაერთიანების დირექტორის მოადგილე, შესყიდვების სპეციალისტი	ტექნიკური პერსონალი	გაერთიანების ბიუჯეტი	

	2.2.4.ეზოების მოწყობის შიდა შეფასება/ მონიტორინგი	2.2.4.ა. ჩატარებულია წელიწადში მინიმუმ 2 ჯერ შიდა მონიტორინგი და დაწერილია ანგარიში													ყველა ბაღში	ბაღების მეთოდისტები	ბაღის მეთოდისტები	არ არის საჭირო	შეფასების კითხვარი
	2.2.5. ეზოების მოწყობის გარე შეფასება/ მონიტორინგი	2.2.5.ა. ჩატარებულია წელიწადში მინიმუმ 1 ჯერ გარე მონიტორინგი და მომზადებულია შესაბამისი ანგარიში													ყველა ბაღი	გაერთიანების დირექტორის მოადგილე და მეთოდისტი	ბაღის მეთოდისტები	არ არის საჭირო	შეფასების კითხვარი
2.3. ბაღების შიდა სივრცეების მოწყობა შერჩეული კურიკულუმის შესაბამისად	2.3.1.ბაღების შიდა სივრცეების მოწყობის შიდა შეფასება/ მონიტორინგი	2.3.1..ა. ჩატარებულია წელიწადში მინიმუმ 2 ჯერ შიდა მონიტორინგი და დაწერილია ანგარიში													ყველა ბაღში	ბაღების მეთოდისტები	ბაღის მეთოდისტები	არ არის საჭირო	შეფასების კითხვარი
	2.3.2. .ბაღების შიდა სივრცეების მოწყობის გარე შეფასება/ მონიტორინგი	2.3.2.ა. ჩატარებულია წელიწადში მინიმუმ 1 ჯერ გარე მონიტორინგი და მომზადებულია შესაბამისი ანგარიში													ყველა ბაღი	გაერთიანების დირექტორის მოადგილე და მეთოდისტი	ბაღის მეთოდისტები	არ არის საჭირო	შეფასების კითხვარი
	2.3.3 . ბაღის შიდა სივრცეების/ ცენტრების გამრავალფერო	2.3.3.ა ბაღებში შეტანილია წინასწარი სიით განსაზღვრული რესურსი													ყველა ბაღი	გაერთიანების დირექტორის მოადგილე	გაერთიანების დირექტორის მოადგილე	გაერთიანების ბიუჯეტი	ბაღების განმოწოდებული საჭირო

	ვნება საგანმანათლებლო და განმავითარებელი რესურსით															და მეთოდისტი	და მეთოდისტი		რესურსების სია
სტრატეგიული მიზანი N3. პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა																			
3.1. პერსონალის გადამზადება	3.1.1.აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული განვითარების 66 საათიანი ტრენინგ მოდულის განხორციელება	3.1.1.ა ტრენინგი გაიარა მინიმუმ ერთმა 25 კაციანმა ჯგუფმა														გაერთიანება	გაერთიანების მეთოდისტი	შესყიდვების სპეციალისტი, დაქირავებული ორგანიზაციის ტრენერი	გაერთიანების ბიუჯეტი	სივრცე ტრენინგისთვის ,კომპიუტერი/პროექტორი
	3.1.2. პირველადი გადაუდებელი დახმარების ტრენინგის განხორციელება პერსონალისთვის	3.1.2.ა. ყველა ბაღის ყველა ჯგუფში მინიმუმ ერთ აღმზრდელს გავლილი აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების ტრენინგი														გაერთიანება	გაერთიანების მეთოდისტი	შესყიდვების სპეციალისტი, დაქირავებული ორგანიზაციის ტრენერი	გაერთიანების ბიუჯეტი	სივრცე ტრენინგისთვის ,კომპიუტერი/პროექტორი
	3.1.3. საგანმანათლებლო პერსონალის ტრენინგის განხორციელება ადრეული განათლების	3.1.3.ა. მინიმუმ 25 პირს წარმატებით აქვს გავლილი ტრენინგ-მოდული და მიღებული აქვს შესაბამისი სერთიფიკატი														გაერთიანება	გაერთიანების მეთოდისტი	შესყიდვების სპეციალისტი, დაქირავებული ორგანიზაციის ტრენერი	გაერთიანების ბიუჯეტი	სივრცე ტრენინგისთვის ,კომპიუტერი/პროექტორი

	კურიკულუმ „თამაშზე“																		
3.2. პერსონალის საგანმანათლებლო, მეთოდოლოგიური და დამხმარე რესურსებით აღჭურვა	3.2.1.ბაღების კომპიუტერებში ადრეულ და ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებული ელექტრონული რესურსების ჩატვირთვა	3.2.1.ა ყველა ბაღში შექმნილია ციფრული საქაღალდე მეთოდოლოგიური ლიტერატურით														გაერთიანების მეთოდისტი			კომპიუტერი და მეხსიერების ბარათი
	3.2.2. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების განახლებული ვერსიების დაბეჭდვა და ბაღებისთვის მიწოდება	3.2.2.ა თითოეულ ბაღში დაბეჭდილია მინიმუმ სამი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების განახლებული ვერსიები													ყველა ბაღი	გაერთიანების დირექტორის მოადგილე		გაერთინების ბიუჯეტი	ქაღალდი, კარტრიჯი,პრინტერი3.3.
3.3. პერსონალის მიერ პრაქტიკის გაზიარების მექანიზმის დანერგვა	3.3.1.საგანმანათლებლო პერსონალთან შეხვედრების განხორციელება პრაქტიკის გაზიარების მიზნით	3.3.1.ა ჩატარებულია გაერთიანების დონეზე წელიწადში მინიმუმ 1 შეხვედრა საუკეთესო პრაქტიკის მიზნით													გაერთიანება	გაერთიანების მეთოდისტი	ბაღის საგანმანათლებლო პერსონალი	გაერთიანების ბიუჯეტი საჭიროების შემთხვევაში	სივრცე შეხვედრებისთვის

	3.3.2. კოლეგიალური შეფასების პრაქტიკის დანერგვა	3.3.2.ა წელიწადში მინიმუმ ერთხელ განხორციელებულია სამიზნე ბაღებს შორის კოლეგიალური შეფასება													აჭარისწყლის ბაღი, ხელვაჩაურის N1, ახალსოფლის N1, ჭარნალის ბაღი	ბაღების მეთოდისტები	ბაღების მეთოდისტები, საგანმანათლებლო პერსონალი	არ არის საჭირო	დაბეჭდილი შეფასების კითხვარები
სტრატეგიული მიზანი N4. საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროცესის ხარისხის გაუმჯობესება																			
4.1. ბავშვზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების უზრუნველყოფა	4.1.1. გეგმის, ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების ფორმების შერჩევა და შეთანხმება ბაღის საგანმანათლებლო პერსონალთან	4.1.1.ა დამტკიცებულია გეგმის , ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების ფორმები													ყველა ბაღი	გაერთიანების მეთოდისტი	ბაღების საგანმანათლებლო პერსონალი	არ არის საჭირო	კურიკულუმის სახელმძღვანელო
	4.1.2.ბავშვების ინტერესებიდან გამომდინარე პროექტების დაგეგმვა და განხორციელება	4.1.2.ა თითოეული ბაღში განხორციელებულია წელიწადში მინიმუმ 2 პროექტი													ყველა ბაღი	ბაღის მეთოდისტი	საგანმანათლებლო პერსონალი	გაერთიანების ბიუჯეტი საჭიროების შესაბამისად	
	4.1.3. ბავშვზე ორიენტირებული პროცესის შეფასება/მონიტორინგი	4.1.3.ა ყველა ბაღის ყველა ჯგუფში წელიწადში მინიმუმ ერთხელ განხორციელებული													ყველა ბაღი	ბაღის მეთოდისტი	მეთოდისტი, საგანმანათლებლო პერსონალია	რ არის საჭირო	დაბეჭდილი შეფასების კითხვარები

		ა პროცესის მონიტორინგი																	
4.2. მშობელთა და თემის ჩართულობის ხელშეწყობა	4.2.1. მშობლებთან ხელშეკრულებების განახლება	4.2.1.ა ყველა მშობელთან დადებულია განახლებული ხელშეკრულება													ყველა ბაღი		გაერთიანების დირექტორი, გაერთიანების იურისტი,	გაერთიანების ბიუჯეტი	დაბეჭდილი ხელშეკრულებები
	4.2.2.მშობლებთან ღია კარის დღეების პრაქტიკის განხორციელება	4.2.2.ა. ყველა ბაღს აქვს წელიწადში ერთხელ მინიმუმ ერთი ღია კარის დღე მოწყობილი													ყველა ბაღი	ბაღის ხელმძღვანელი	საგანმანათლებლო პერსონალი	ბიუჯეტი არ არის საჭირო	
	4.2.3. მშობლების ჩართვა საგანმანათლებლო-სააღმზრდელო პროცესში მოწვეული ექსპერტის ან დამხმარეს როლში	4.2.3.ა. თითოეულ ბაღში წელიწადში მინიმუმ ხუთჯერ არის მოწვეული მშობელი ექსპერტის ან დამხმარეს როლში													ყველა ბაღი	ბაღის მეთოდისტი	საგანმანათლებლო პერსონალი	არ არის საჭირო	
	4.2.4. მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრების წარმოება მათი შვილის განვითარების პროგრესის	4.2.4.ა. წელიწადში მინიმუმ ორჯერ ჩატარებულია თითოეული ბავშვის მშობელთან შეხვედრა													ყველა ბაღი	ბაღის მეთოდისტი	საგანმანათლებლო პერსონალი, ინკლუზიის მხარდამჭერი გუნდი	არ არის საჭირო	შეხვედრების სივრცე

	განხილვის მიზნით																		
	4.2.5. პოზიტიური მშობლობის პროგრამის განხორციელება.	4.2.5.ა. ჩატარებულია პოზიტიური მშობლობის პროგრამის ერთი ციკლი, რომელშიც მონაწილეობს მინიმუმ 20 მშობელი.													გაერთიანება	გაერთიანების დირექტორის მოადგილე	TOT გავლილი აღმზრდელ-ტრენერები	გაერთიანების ბიუჯეტი	სატრენინგო სივრცე, კომპიუტერი/პროექტორი, დაბეჭდილი მასალები
4.3. საგანმანათლებლო პროცესის შიდა და გარე მონიტორინგის მექანიზმების ეფექტური დანერგვა	4.3.1.საგანმანათლებლო პროცესის შიდა და გარე მონიტორინგის/ შეფასების ინსტრუმენტის შერჩევა ან შექმნა	4.3.1.ა. შერჩეულია შეფასების ინსტრუმენტი													ყველა ბაღი	გაერთიანების მეთოდისტი	გაერთიანების მეთოდისტი, საგანმანათლებლო პერსონალი, მოწვეული ექსპერტი	არ არის საჭირო	ელექტრონული კითხვარები
	4.3.2.საგანმანათლებლო პროცესის შიდა მონიტორინგის განხორციელება	4.3.2ა განხორციელებულია თითოეულ ბაღში წელიწადში მინიმუმ ერთხელ საგანმანათლებლო პროცესის შიდა მონიტორინგი													ყველა ბაღი	ბაღის მეთოდისტი	ბაღის მეთოდისტი, საგანმანათლებლო პერსონალი	არ არიოს საჭირო	კითხვარები
	4.3.3.შიდა მონიტორინგის შედეგების საერთო	4.3.3.ა. განხორციელებულია ყველა ბაღის შემაჯამებელი ანალიზი													გაერთიანება	გაერთიანების დირექტორის მოადგილე	გაერთიანების დირექტორის მოადგილე	არ არის საჭირო	ანგარიში

	ანალიზის განხორციელება															და გაერთიანებ ის მეთოდისტ ი	და გაერთიანებ ის მეთოდისტ ი		



ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანება

ბრძანება

ბრძანება:ბ31. 12825034001

თარიღი:03/02/2025

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანების სტრატეგია 2025-2030 - ის დამტკიცების შესახებ

,,ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანების წესდების დამტკიცების შესახებ" ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 02 დეკემბრის #ბ128.128243375 ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე და ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 17 დეკემბრის Nბ31.128243522001 ბრძანების „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ" საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანების სტრატეგია 2025-2030, მასში შემავალი 1 წლიანი სამოქმედო გეგმით.
2. გაზიარდეს ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანების სტრატეგია 2025-2030 ყველა სტრუქტურულ ქვედანაყოფთან.
3. საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანების სტრატეგია 2025-2030 განთავსდეს ვებგვერდსა და სოციალურ პლატფორმებზე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი #358) დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ლია გოგიტიძე

ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანება-დირექტორი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი